

DataLab

მონაცემების ღიაობა საზოგადოების გაძლიერებისთვის!

პრესრელიზი

პრეზენტაცია: საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია – DataLab

საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემთა ბაზები საჯარო პოლიტიკისა და ფინანსების საკითხებზე 150-ზე მეტი ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებიდან, რომელთა გაცნობა და გამოყენება ამიერიდან საზოგადოებას ონლაინ რეჟიმში შეეძლება – 28 თებერვალს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ახალი ღია მონაცემების პლატფორმის – www.DataLab.ge პრეზენტაცია ჩაატარა.

ღონისძიებას საჯარო დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, საერთაშორისო და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პლატფორმა შეიქმნა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

ღონისძიებას გახსნეს ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში **იოჰანეს დაუმამ** და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი კლდიაშვილმა**.

„ეს ინიციატივა აძლიერებს საზოგადოებას, მოქალაქეს აძლევს საშუალებას კრიტიკულად დააკვირდეს მთავრობას, გადაამოწმოს ინფორმაცია და გამოიყენოს იგი საერთო სარგებლისთვის. იმედი მაქვს, ამ პლატფორმას ყველა თაობა გამოიყენებს, როგორც სტუდენტები ისე პროფესიონალები.“ – აღნიშნა ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში **იოჰანეს დაუმამ** ღონისძიების გახსნით სიტყვაში.

IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი კლდიაშვილმა** ყურადღება გაამახვილა ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და მათ საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდისთვის.

„საჯარო სექტორის მონაცემები საზოგადოებისთვის ინფორმაციის უდიდესი წყაროა. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ჩვენი პლატფორმა – www.DataLab.ge, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში ღია მონაცემთა ბაზების დამუშავების და საზოგადოებისთვის მათი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით“, – აღნიშნა **გიორგი კლდიაშვილმა**.

IDFI-ის პროგრამების დირექტორი **ლევან ავალიშვილი** დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა პორტალ www.DataLab.ge-ის ფუნქციონალური და ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ.

პორტალზე განთავსებულია IDFI-ის მიერ მოპოვებული საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზები 150-ზე მეტი ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებიდან. მონაცემთა ბაზები პორტალის მომხმარებლისთვის წარმოდგენილია ღია, დამუშავებად ფორმატში (ექსელი და CSV).

„მისი მეშვეობით, ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია გაეცნოს საჯარო ინფორმაციას, ონლაინ რეჟიმში ააგოს მონაცემთა ვიზუალიზაციები (გრაფიკული გამოსახულება), გადმოწეროს და გამოიყენოს მისთვის სასურველი ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საჯარო ადმინისტრირება, ადგილობრივი თვითმმართველობა, სოციალური საკითხები, ჯანდაცვა, დანაშაულის სტატისტიკა, განათლება, გარემო, ეკონომიკა, ფინანსები, ტრანსპორტი, და სხვა. IDFI პერიოდულად განახლებს ინფორმაციას უწყებების და თემების მიხედვით.“ – განმარტა **ლევან ავალიშვილი**.

ღონისძიების დასასრულს, IDFI-ის ელექტრონული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელმა **თონა ტურაშვილმა** ისაუბრა ანალიტიკური სტატიების კონკურსის პირობებისა და წარდგენილი ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რომელიც 2018 წლის 28 თებერვალს გაიხსნა და 15 აპრილს დასრულდება.

კონკურსის მიზანია, საზოგადოებაში ღია მონაცემების დამუშავებისა და მონაცემებზე დაყრდნობით ანალიტიკური სტატიების მომზადების წახალისება. აუცილებელი პირობაა, რომ კონკურსანტებმა სტატიის მომზადებისას ასევე გამოიყენონ www.datalab.ge -ზე გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზები.

კონკურსის შედეგად გამოვლინდება 3 გამარჯვებული: I ადგილის მფლობელს გადაეცემა 1,600 ლარი; II ადგილს – 1,200 ლარი; ხოლო III ადგილის მფლობელი დაჯილდოვდება 900 ლარით. გარდა ამისა, საუკეთესო 3 სტატია გამოქვეყნდება IDFI-ის ვებ (www.idfi.ge) და სოციალურ (Facebook და Twitter) გვერდებზე საავტორო უფლებების დაცვით.

- დამატებითი ინფორმაცია კონკურსების შესახებ იხილეთ IDFI-ის ვებგვერდი: <https://idfi.ge/ge/pagel/competitionview/15/>
- საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში მისაღებად იხილეთ: www.DataLab.ge

საკონტაქტო ინფორმაცია:

- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge